პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 8 აპრილი, 1949 წ. № 68 (8371). ფასი 20 კაპ.

საქართველოს მეშახტეთა პაჭრიოტული ღირსების საქმე

დიდი და მეტად პასუხსაგები ამოცანები დაუსახა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს. ეს ამოცანები მკაფიოდ განსაზღვრა თავის მოხსენებაში საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა. კოქსადი ქვანახშირის მოპოვება, რაც საჭირო იქნება რუსეთის მეტალურგიული ქარხნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ახლო მომავალში უნდა გადიდდეს 2.580 ათას ტონამდე, ხოლო ენერგეტიკული ქვანახშირისა ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის — ერთ მილიონ ტონამდე.

„ქვანახშირის შახტების სათანადო სიმძლავრეთა არსებობის პირობებშიც — მიგვითითებს ამხანაგი კ. ჩარკვიანი, — ქვანახშირის მოპოვების ასეთი გადიდება 1-2 წელიწადში შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ახლავე უზრუნველყოთ ქვანახშირის მოპოვების ზრდის უფრო სწრაფი ტემპი".

ქვანახშირის მოპოვების ტემპის გადიდება აუცილებლად მოითხოვს თვითეული შახტის, თვითეული საექსპლოატაციო უბნისა და ცალის რიტმულ მუშაობას, საშახტო წარმოების ყველა რგოლის შეუფერხებელ მოქმედებას. საჭიროა ყველა შახტში მიეღწიოთ ცალკეულ რგოლთა — საშახტო ტრანსპორტის, ვენტილაციის, ყოველი ცალკე მექანიზმის შეწყობილ მუშაობას. ტყიბულქვანახშირის ტრესტის ენინის სახელობის შახტში მარტის [illegible] რიცხვებში ლიანდაგს გადასცდა საშახტო ელექტრომავალი, რომელმაც [illegible] გადაათინა რამდენიმე დატვირთული ვაგონი. ამან ქვანახშირის ტრანსპორტირებაზე მომუშავეები რამდენიმე საათს გააცდინა. მაშასადამე, გაცდნენ მგზავრეულებიც, გამგორებლებიც და ამდენჯერ ... ცვლა ჩამორჩა. მსგავსი შემთხვევები ზმირია სხვა შახტებშიც, თუმცა ყველგან აქვთ იმის საშუალება, რომ [illegible] ყურადღება მიაქციონ საშახტო [illegible] ... ბოლოდგან მეურნეობის პროფილაქტიკას, თავიდან აიცილონ მოძრაობის [illegible], უზრუნველყონ საშახტო ტრანსპორტის გამართული მუშაობა.

[illegible] შეჯამებულია საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის 1949 წლის [illegible] კვარტალის მუშაობის შედეგები, რომელიც მოწმობენ, რომ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის შემდეგ ჩვენი შახტების მუშაობაში არის გარდატეხა გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ დამაკმაყოფილებელი შედეგამდეა კიდევ არაა მიღწეული. ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის ორმა ძირითადმა ტრესტმა — ტყიბულქვანახშირისა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტებმა მარტში მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს ქვანახშირის მოპოვების დაგეგმვანი, მაგრამ ამავე დროს კვარტალური დავალება [illegible] ერთ ტრესტს არ შეუსრულებია. ტყიბულელთა შორის პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს მხოლოდ სტალინის სახელობის შახტისა და გელფოთის შახტის კოლექტივებმა, ხოლო ტყვარჩელში — ტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა.

[illegible] მეორე კვარტალში გადავედით. საქართველოს მეშახტეებს პირველი კვარტალიდან საგრძნობი დავალიანება [illegible]ოჰყვათ. ამასთანავე მეორე კვარტალში გეგმა შესაძრევადაა გადიდებული. მაშასადამე, მეორე კვარტალში საქართველოს მეშახტეებმა მეტი ნაყოფიერებით უნდა იმუშაონ, ვიდრე [illegible]-თებერვალ-მარტში, და უპირველეს ორ თვეში შეასრულონ არა მარტო მიმდინარე გეგმა, არამედ ამ გეგმას [illegible] ... გადააჭეტონ, რომ გადმოყოლილი დავალიანება უახლოეს 1-2 თვეში დაფარონ.

ქვანახშირის საექსპლოატაციო ტრესტებისა და შახტების სამეურნეო ხელმძღვანელებმა, საშახტო პარტიულმა [illegible] პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ ამოცანის განსახორციელებლად უნდა დარაზმონ მეშახტეთა მასები. საჭიროა შეივსწავლოთ თვითეული შახტის, თვითეული უბნის მუშაობის შედეგები, გამოვამჟღავნოთ ნაკლოვანებანი და გამოვასწოროთ ისინი.

[illegible] ნაკლი, რასაც ჯერჯერობით მეტნაკლებად კვლავ ადგილი აქვს ტყიბულშიც და ტყვარჩელშიც, არის ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა არასაკმარ ტემპი. ტყიბულში ამ მხრივ სამარცხვინოდ ჩამორჩა მოლოტოვის სახელობის შახტი, ხოლო ტყვარჩელში — მთელი ტრესტი. შეუძლებელია ამას შეეფიროდეთ. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა შეუსრულებლობა მეშახტეებს უხშობს ქვანახშირის ამოღების გადიდების გზას, იწვევს მოპოვებითი სამუშაოების შეკვეცას. ქვანახშირის მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ მათ „თვით წარმოების ხასიათის მიხედვით, არ შეუძლიათ მხოლოდ დღეკვანდელი დღით იცხოვრონ. ქვანახშირის მოპოვებასთან ერთად ისინი ყოველდღიურად უნდა ამზადებდნენ მომავალ სამუშაოთა ფრონტს, წინაღმდეგ შემთხვევაში ქვანახშირის მოპოვების გეგმის ჩაშლა გარდუვალია". (კ. ჩარკვიანი).

საჭიროა მეტი ყურადღება მიეკიცოთ შახტებში მექანიზაციის დანერგვას. საქართველოს ქვანახშირის შახტები სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებენ ახალ ტექნიკას. ჩვენი მეშახტეების განკარგულებაშია ისეთი მექანიზმები, რომლებიც ერთიანად ღა მეტად ადიდებენ მათს შრომის ნაყოფიერებას. ახლა მთავარია საქმის ისე წარმართვა, რომ მეშახტეებს შეუყვარდეთ ამ მექანიზმებით მუშაობა. ამ მხრივ ბევრი მოეთხოვებათ მექანიზაციის ინჟინერ-ტექნიკოსებს. ტყიბულში, მაგალითად, ამას წინათ შახტში შეიტანეს ახალი დატვირთავგადამტვირთავი მექანიზმები. მუშებმა არ იცოდნენ, როგორ მოპყრობოდნენ მას და ჯარს აცხადებდნენ ამ მექანიზმებზე. ამ მექანიზმებზე, მაგრამ როგორც კი ტექნიკოსებმა დახმარებით ამ მექანიზმით მუშაობა დაიწყო სოციალისტური შრომის ბრიგის ა. ქასრაძის ბრიგადამ და პირველ დღესვე ფუჭი ქანის მონგრევას და დატვირთვა-გამოზიდვის გეგმა 200 პროცენტით შეასრულა, ეს მექანიზმები ყველა სანგრევში მოითხოვეს. ტყვარჩელში, სტალინის სახელობის შახტში ამას წინათ შეიტანეს მბრეგე-გადმომხვეტავი მანქანა, რომელიც საბჭოთა საშახტო ტექნიკის უახლეს მიღწევადაა მიჩნეული და რომელიც ცვლაში 70-მდე ამწამდე მუშას ცვლის. ჟქაც გაუჭირდათ ამ მანქანით მუშაობის ათვისება, ხოლო ორდესაც მას კარგად გაეცნენ, ახლა ყველგან მოითხოვენ ასეთ მანქანებს.

აქედან ცხადია, რომ მექანიზაციის დანერგვა შახტებში სწრაფად, მაგრამ მოფიქრებით, დაკვირვებით, მუშების წინასწარ მომზადების გზით უნდა ხდებოდეს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს პარტია და მთავრობა ყველა პირობას უქმნიან იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ დავალებანი. ქვანახშირის მოპოვების წლევანდელი გეგმა დამუშავებულია ისეთი ვარაუდით, რომ მის არათუ მარტოოდენ შესრულებას, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებასაც თავისუფლად შეძლებენ ჩვენი მეშახტეები, რადგან მათ საამისოდ ყველა პირობა აქვთ. ამით ისინი თანდათანობით მიუახლოვდებიან ქვანახშირის ამოღების იმ დონეს, როცა მათ უნდა გვაძლიონ 2.580.000 ტონა კოქსადი და 1 მილიონი ტონა ენერგეტიკული ქვანახშირი.

მაგრამ ყოველივე ამასთან საშახტო პარტიულ ორგანიზაციებს, ტყიბულელ, ტყვარჩელელ და ახალციხელ მეშახტე ბოლშევიკებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ქვანახშირის ამოღებაში ახალ წარმატებთა მიღწევა და საერთო ლიმელთა სავსებით დამოკიდებულია სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხზე. ავაძაღლოთ თვითეული სამეურნეო უბაკის, თვითეული ინჟინრის, ტექნიკოსისა და მეშახტის პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის, მოქნილად და უნარიანად გამოვიყენოთ საშეურნეო მუშაობისადმი პარტიული კონტროლის უფლება, შახტების მუშაობისადმი სამეურნეო ხელმძღვანელობა წარვმართოთ არა საშახტო პარტიული ორგანიზაციის გვერდის აყლით, არამედ მათი საშუალებით. ამას მოითხოვს ახლა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის დადგენილებათა შესრულების ამოცანა, ეს არის ახლა საქართველოს მეშახტე ბოლშევიკების პატრიოტული ღირსების საქმე.

ДИДИ РУСИ МЕЦЕРЛИС А. М. ГОРКИЦ ЮБИЛЕИ

5 აპრილს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში შედგა დიდი რუსი მწერალი, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი ა. მ. გორკის საღამო მისი დაბადების 81 წლისთავთან დაკავშირებით.

საღამოს გახსნა მწერალმა ლ. ლეონოვმა.

მოხსენება „გორკი იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში" აკადემიკოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. მ. ეგოროვმა.

ა. მ. გორკისთან შეხვედრებზე მოგონებებით გამოვიდა მწერალი ვ. ა. კავერინი.

საღამოს დასასრულ შესრულებულ იქნა სცენები სპექტაკლებიდან „ფსკერზე", „ეგორ ბულიჩევი და სხვები", „მდაბიონი" და წაკითხულ იქნა ა. მ. გორკის ლექსები და მოთხრობები.

(საკდესი).

საქავშირო ალკკ XI ყრილობა

5 აპრილის დილის სხდომა

5 აპრილს, საკავშირო ალკკ XI ყრილობის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი „სოლოსში კომკავშირის მუშაობის შესახებ" ამხ. ტ. ი. ერშოვას მოხსენების გამო.

სიტყვა ეძლევა კომკავშირის სემიპალატინსკის საოლქო კომიტეტის მდივანს ამხ. **ნ. ვ. რუკავიშნიკოვას.** იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ეხმარებიან მასწავლებლებს ოლქის კომკავშირელები ბავშვების აღზრდაში სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. **ი. ა. კაიროვმა** თავის გამოსვლაში ყრილობაზე განაცხადა, რომ აკადემიამ ოთხი წლის არსებობის მანძილზე გამოსცა სამასზე მეტი სახელწოდების წიგნი, აქედან 107 წიგნი პედაგოგიკური ბიბლიოთეკისა, მთელი რიგი სასწავლო მეთოდური სახელმძღვანელები, დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელები.

— ბევრი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია სწორად წყვეტს მოსწავლეთა წარმატებისათვის ბრძოლის საკითხებს, რისთვისაც იყენებს მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს, — განაცხადა საკავშირო ალკკ ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ი. ვეკშინმა.**

საკავშირო ალკკ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ე. კ. ლიგაჩოვი** ლაპარაკობს ოლქის კომკავშირული ორგანიზაციების ფართო საქმიანობაზე სკოლებში, მათ დახმარებაზე მასწავლებლებისადმი.

ლაპარაკობს რა ლიტერატურის, კინოსა და თეატრის უდიდეს როლზე მოსწავლეთა აღზრდაში, ამხ. ლიგაჩოვი თხოვს, კერძოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს გაადიდოს ბავშვებისა და ჭაბუკებისთვის სპექტაკლების რაოდენობა.

ქალაქ მოსკოვის 610-ე სკოლის მასწავლებელმა ამხ. **ლ. ა. პომერანცევამ** საკავშირო ალკკ XI ყრილობის დელეგატებს გადასცა მისალმება დედაქალაქის მასწავლებლებისაგან.

კამათი „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ" მოხსენების გამო დამთავრდა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ტ. ი. ერშოვას მოკლე საბოლოო სიტყვის შემდეგ, ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია „სკოლაში კომკავშირის მუშაობის შესახებ" მოხსენების გამო.

ყრილობა გადადის დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვაზე. მოხსენებით საკავშირო ალკკ წესდების ცვლილებათა შესახებ გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვი.**

— საკავშირო ალკკ X-დან XI ყრილობამდე განვლილ პერიოდში, — ამბობს ამხ. ივანოვი, — საბჭოთა ახალგაზრდობამ და მისმა მოწინავე რაზმმა — კომკავშირმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, აღზრდის ძდიდარი სკოლა გაიარა, გიზრდილა პოლიტიკურად და სულიერად, გახდა დიდი ძალა. სამოქალაქო ომისა და პირველი სტალინური ხუთწლედების ლროის სახელოვანი თაობის შემდეგ გაიზარდა სამამული ომის გმირთა და კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალი თაობა.

კომკავშირი გაიზარდა საბჭოთა ახალგაზრდობის მრავალმილიონიან ორგანიზაციად, გამდიდრდა გამოცდილებით, შეიარაღდა ცოდნით, განსაკუთრებული ... [illegible] ... ბრძოლის ... [illegible] ... ბრძოლის ... [illegible] ... ბრძოლის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ვ. ბ. გოგუას თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმმა დაადგინა — აბა წლის 18 აპრილს ქალაქ თბილისში მოიწვიოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი მეოთხე სესია.

შემდეგ პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების ადგილობრივი საბჭოების კომისიების მუშაობაში ჩაბმულია საბჭოთა აქტივი, რის შედეგადაც მათს საქმიანობაში არის გარკვეული წარმატებანი. მუდმივი კომისიების უმეტესობა მუშაობს გეგმის მიხედვით, ამზადებს სათანადო საკითხებს და თავისი წინადადებანი შეაქვს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ან მათი აღმასრულებელი კომიტეტების განსახილველად.

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი რაიონების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობაში არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. მუდმივი კომისიების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული ადგილობრივი საბჭოების ყველა დეპუტატი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისას ცალკეულ შემთხვევებში არაასაკმაოდ ითვალისწინებენ დეპუტატების გამოცდილებას, მათს სურვილს იმუშაონ ამა თუ იმ კომისიაში.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების სამტრედიის, ცხაკაიას და კაჭრეთის რაიონული საბჭოების მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისიები, კაჭრეთის სასოფლო სამეურნეო კომისია და ჯანმრთელობის დაცვისა და საგზაო მშენებლობის კომისიები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მთელი რიგი კომისიების სხდომები რეგულარულად არ იმართება.

კომისიების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებანი ცალკეულ შემთხვევებში ზოგადი, არაკონკრეტული ხასიათისაა. ზოგიერთი მუდმივი კომისია უშუალოდ თვითონ აძლევს საველდებულო განკარგულებას საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ნაცვლად იმისა, რომ თავისი წინადადებანი შეიტანონ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ან საბჭოს აღმასკომის განსახილველად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხის განხილვაში, პრეზიდიუმის წევრების გარდა, მონაწილეობა მიიღეს რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებმა ამხანაგებმა ბ. ჭარაქაშვილმა (კაჭრეთი), ქ. მანწყავამ (ლანჩხუთი), მ. ნიშნიანიძემ (სამტრედია) და ი. გვაძაბიამ (ცხაკაია).

პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საჭირო დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მშრომელთა დეპუტატების აღნიშნული რაიონების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ— მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიების შექმნისას ზუსტად იხელმძღვანელონ „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების დებულებით“, მუდმივი კომისიების საქმიანობაში ჩაბან ყველა დეპუტატი, დახმარება გაუწიონ მათ, რათა საბჭოების აქტივის მუშაობაში ჩაბაან მოწონავე მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია.

მშრომელთა დეპუტატების კაჭრეთის, ლანჩხუთის, სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები ხელმძღვანელობას უწევდნენ მათთან შექმნილი მუდმივი კომისიების საქმიანობას.

სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების აქტიური დახმარება გაუწიონ საბჭოს მორიგი პოლიტიკური და სამეურნეო კამპანიების მოწყობაში და, პირველ რიგში, საგაზაფხულო საფუშაოთა მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის, წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მინდორსაცავი ზოლებისა და ტყეების გაშენების სამუშაოთა შესრულებისათვის, საკოლმეურნეო სოფლის კეთილმოწყობისათვის და სხვ. ბრძოლაში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა თავის სხდომებზე სისტემატურად უნდა მოისმინონ და რაიონული საბჭოს სესიების განსახილველად შეიტანონ მუდმივი კომისიების მუშაობის საკითხები.

პრეზიდიუმმა მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების ყურადღება მიაქცია მუდმივი კომისიების დიდ მნიშვნელობას, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში დეპუტატებისა და ფართო აქტივის ჩაბმის ერთ-ერთ ქმედით ფორმას.

შემდეგ პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობის უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ზოგიერთი სხვა საკითხი და მათ შესახებ მიიღო გადაწყვეტილებანი.

(საქდსი).

ევკალიპტის ახალი ფყეები

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ კორ.). ევკალიპტის კულტურა ფართოდ მკვიდრდება რაიონში. მისი ნარგავებით იმოსება საკოლმეურნეო მინდვრები, იგი შენდება ტყის მსივნებად. გარდა ამისა, ევკალიპტი დარგულია ხეივნებად რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალების გაყოლებით. სულ ოთხმოცდაათ ჰექტარზე. ეს ნიშნავს, რომ ბ. ზოლუ ჰქონდეს უფლება რომელიმე სხვა ქვეყნის მიწქვეყნე უპასუხოს ისე სალაპარაკოდან როგორც ძან უპასუხა „Nation“-ის რედაქტორის ო. გ. ვილარდის მიპატიჟებას: ამერიკაში გვეწვიეთ.

ყველა ქვეყნის კაპიტალისტები თანაბრად საძაგელი და არაადამიანური მოდგამა, მაგრამ თქვენი კაპიტალისტები უარესი არიან. ისინი, როგორც ჩანს, უფრო სულელურად ხარბი არიან ფულისადმი. აქვე უხეა ითქვას: სიტყვა „ბიზნესმენს“ ძე ჩემთვის ეთარგნი სიტყვით—მანიაკი.

წარმოიდგინეთ, როგორეს სულელური და სამარცხვინოა ყოველივე ეს: ჩვენი მშვენიერი პლანეტი, რომელსაც ჩვენ ესოდენი შრომით ვრთავთ და ვამდიდრებთ,—თითქმის მთელი ჩვენი დედამიწა ადამიანთა ერთი მუჭა მოდგმის გაუმაძღარ ხელშია, რომელთაც, გარდა ფულისა, არაფრის კეთება არ შეუძლიათ. დიდებულ შემოქმედებით ძალას — მეცნიერების, ტექნიკოსების, პოეტების, მუშების სისხლსა და ტვინს, რომლებიც ქმნიან კულტურას, ჩვენს „მეორე ბუნებას“, ეს ჩლუნგი ადამიანები აქცევენ ყვითელი ლითონის გორგოლაჭებად და ჩეკების ქაღალდის ნაჭრებად.

ფულს გარდა, რას ქმნიან კაპიტალისტები? პესიმიზმს, შურს, სინარბეს და სიძულვილს, რომელიც აუცილებლად მოსსპობს მათ, მაგრამ, მათთან ერთად, თავისი აფეთქებით შეიძლება მოსპოს კულტურის ბევრი განძი. თქვენი ავადმყოფურად ჰიპერტროფირებული ცივილიზაცია უდიდეს ტრაგედიებს გიქადის თქვენ.

პირადად, რა თქმა უნდა, მე ისეთი აზრისა ვარ, რომ ნამდვილი ცივილიზაცია და კულტურის სწრაფი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პოლიტიკური ძალაუფლება მთლიანად მშრომელ ხალხს ეკუთვნის და არა პარაზიტებს, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ. ეგ, რასაკვირველია, რჩევას ვიძლევი — კაპიტალისტები გამოცხადებულ იქნან სოციალურად საშიშ ადამიანებად და ჩამოერთვათ ქონება საბჭოთაშეფოს სასარგებლოდ, ეს ადამიანები გადასახლებულ იქნან ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე და იქ დაიხოცონ მშიდად. ეს არის სოციალური საკითხის მეტად ჰუმანური გადაჭრა, და იგი სრულიად შეეფერება „ამერიკულ იდეალიზმს“, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა იმ ადამიანთა უაღრესად გულუბრყვილო ოპტიმიზმი, რომელთაც ჯერ კიდევ არ განუცდიათ დრამა და ტრაგედია, რასაც საერთოდ „ხალხის ისტორია“ ეწოდება.

თარგმანი არისტო ბუმბაკაძისა

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 5 აპრილის ცნობებით)

აპრილის პირველ ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა საგაზაფხულოდ მოხნეს 27.369 ჰექტარი, სულ 5 აპრილისათვის მოხნულია 139.097 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 40,2 პროცენტით. აქედან აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოხნულია (1 აპრილისათვის) 26.210 ჰექტარი (გეგმის 67,3 პროცენტი), ამაშის რაიონში — 10.222 ჰექტარი (80,3 პროცენტი), სამტრედიის — 8.374 (82,7 პროცენტი), ყვარლის რაიონში— 3.079 (115,7 პროცენტი).

გარდაბნის რაიონმა ხვნის გეგმა 149,4 პროცენტით შეასრულა. საგაზაფხულო ხვნის გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ აგრეთვე (დავალება 70-ზე მეტი პროცენტით შეასრულეს) ბოლნისის, თბილისის, ლაგოდეხის, წულუკიძის, კაჭრეთის, წალენჯიხის, მცხეთის, ფოთის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, მაიაკოვსკის რაიონები.

საგარეჯოს რაიონში ხვნის გეგმა 23,2 პროცენტით არის შესრულებული, გორის — 19,3 პროცენტით, ზესტაფონის —25, საჩხერის — 3,7, ქარელის — 27,3, კასპის რაიონში — 47,8 პროცენტით.

კოლმეურნეობებში დათესილია 32.446 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. მეფარბით წინ არის თბილისის რაიონი, რომელმაც თესვის გეგმა 43,1 პროცენტით შეასრულა. ქლუხორის რაიონში დავალება 42,8 პროცენტით არის შესრულებული, კაჭრეთის — 40,1, ყვარლის—32,8, ქარელის — 24,6, სიღნაღის — 19,5, მცხეთის — 15, საგარეჯოს რაიონში 6 პროცენტით.

თაფაფიანი მარცვლეული კულტურების თესვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 14,7 პროცენტით. ყვარლის რაიონმა დავალება 128,8 პროცენტით შეასრულა, კაჭრეთის რაიონმა — 107,9 პროცენტით, ლაგოდეხის — 102,2, ბოლნისის — 91,1, ქარელის — 90,6, ახმეტის—85,9, გურჯაანის — 85,7, კასპის — 83, მცხეთის — 81, თბილისის — 75,5, თელავის — 74,3, საგარეჯოს —19, მარნეულის— 26,1, წითელწყაროს — 35,4, სიღნაღის — 63,9, ფოთის წყაროს — 4,7, ფოშუთის — 20, წალკის — 6,3, გორის— 29,6, ხაშურის რაიონმა — 39 პროცენტით.

აპრილის პირველ ხუთდღიურში კოლმეურნეობებში დაითესა წინა ხუთდღიურისაზე თითქმის ერთისამად მეტი ბაქრის ბარხალი. სულ დათესილია 2.112 ჰექტარი, გეგმის 35,2 პროცენტი. ქარელის რაიონმა გეგმა 67,3 პროცენტით შეასრულა, ხაშურის — 31,1, გორის — 29,7, კასპის რაიონმა—25,2, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 4,5 პროცენტით.

მზესუფზარის თესვის რესპუბლიკური გეგმა 39,6 პროცენტით არის შესრულებული. ყვარლის, ახმეტისა და თელავის რაიონებში დავალების შესრულება 100 პროცენტს აღემატება. მცხეთის რაიონში გეგმა შესრულებულია 97,3 პროცენტით, ლაგოდეხის — 80,7, კაჭრეთის რაიონში —91,1 პროცენტით.

ჩამორჩენაა საგარეჯოს რაიონში, სადაც მზესუფზარის თესვის დავალება მხოლოდ 11,8 პროცენტით არის შესრულებული, სიღნაღის რაიონში—22,1, წითელწყაროს — 19,8, თბილისის — 51,8, გურჯაანის რაიონში — 15,5 პროცენტით.

მ. გორკი

კასუხი ამერიკული ჟურნალის ინტერვიუს

თქვენ მეკითხებით:

„სადეს თუ არა თქვენს ქვეყანას ამერიკა და რას ფიქრობთ ამერიკის ცივილიზაციაზე?“.

უკვე ასეთი საკითხების და ასეთი ფორმით დაყენების ფაქტი თავისთავად შეიცავს რაღაც ამერიკულად მახინჯ გაზვიადებას, გაბერვას. ვერ წარმომიდგენია ისეთი ევროპელი, რომელსაც შეეძლოს ასეთი კითხვების დაყენება იმისათვის, რომ „ფული გააკეთოს“. ნება მიბოძეთ გაცნობოთ, რომ პირველს თქვენს კითხვაზე,—ისე როგორც ყველა სხვაზე,—უფლება არა მაქვს გიმალუსხოთ ჩემი ქვეყნის ყველა 150 მილიონი მოქალაქის სახელით, ვინაიდან შესაძლებლობა არა მაქვს შეეკითხო მათ: როგორ ეპყრობიან ისინი თქვენს ქვეყანას?

მგონია, რომ იმ ქვეყნებშიც კი, რომელთა სისხლსაც თქვენი კაპიტალისტები დოლარებად აქცევენ — ფილიპინის კუნძულებზე, სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებში, ჩინეთში და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის ათ მილიონ ფერადკანიან ადამიანთა შორისაც კი არ მოიძებნება არც ერთი გონიერი ადამიანი, რომელმაც თავისი ხალხის სახელით მიითვისოს უფლება და თქვას: „ღიაან,—ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს სძულს ამერიკა, მთელი მისი ხალხი, მუშები ისევე, როგორც მლილარდერები, ფერადკანიანები ისევე, როგორც თეთრები; სძულს ქალები და ბავშვები, მინდერები, მდინარეები, ტყეები, მხეცები და ფრინველები, თქვენი ქვეყნის წარსული და აწმყო, მისი მეცნიერება და მეცნიერნი, მისი დიდებული ტექნიკა, ედისონი და ლუთერ ბერბანკი, ედგარ პო, უოტ უიტმენი, ვაშინგტონი და ლინკოლნი, ტ. დრაიზერი და ე. ო. ნეილი, შერვუდ ანდერსონი, ყველა ნიჭიერი მხატვარი და მშვენიერი რომანტიკოსი ბრეგ-ჰარტი, ჯ. ლონდონის სულიერი მამა, სძულს ტორო, ემერსონი და ყველფერი, რაც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებშია, და ყველა, ვინც ამ შტატებში ცხოვრობს“.

იმედი მაქვს, თქვენ არ მოელით, რომ მოიძებნება ისეთი იდიოტი, რომელსაც შეეძლოს პასუხი გასცეს თქვენს კითხვას ასე უგუნურად, ადამიანებისა და კულტურისადმი ასეთი სიძულვილით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ის, რასაც თქვენ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ცივილიზაციას ეძახით, არ იწვევს და ვერც გამოიწვევს ჩემს სიმპათიას. მე მგონია, რომ თქვენი ცივილიზაცია ჩვენი პლანეტის ყველაზე მახინჯი ცივილიზაციაა, იმიტომ, რომ მან საშინლად გაიზვიადა ეგრეთნი ცივილიზაციის მთელი სხვადასხვაგვარი და სამარცხვინო სიმახინჯენი. ევროპა საკმაოდ ტრაგიკულად გარყვნილია სახელმწიფოს კლასობრივი სტრუქტურის ცინიზმით, მაგრამ მაინც ევროპამი ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი ისეთი მავნე და უაზრო მოვლენა, როგორიც არიან თქვენი მილიარდერები, მილიონერენი, ადამიანები, რომლებიც თქვენს ქვეყანას დეგენერატებს სძენენ. თქვენ, რასაკვირველია, გახსოვთ ბოსტონის მკვლელობა, როცა ორმა მდიდარმა ბიჭმა მოკლა მესამე, — მოკლა ცნობისმოყვარეობის გამო? ხოლო რამდენია თქვენში ასეთი დანაშაული „სნობიზმის“ გამო, ცნობისმოყვარეობის გამო? ევროპასაც შეუძლია დაიკვეხნოს თავის მოქალაქეთა უუფლებობა და დაუცველობა, მაგრამ მაინც იგი ჯერ კიდევ არ მისულა ისეთ სირცხვილამდე, როგორიცაა საკო და ვანცეტის მოკვლა. საფრანგეთში იყო „დრეიფუსის საქმე“, ისიც ძლიერ სამარცხვინო, მაგრამ საფრანგეთში უდანაშაულს დასაცავად გამოვიდნენ ე. ზოლა, ანატოლ ფრანსი და ათასობით ადამიანი გიიყოლიეს. გერმანიაში ომის შემდეგ წარმოიშვა კუ-კლუქს-კლანის მსგავსი რაღაც — მკვლელთა ორგანიზაცია, მაგრამ იქ ისინი დაიჭირეს და გასამართლეს, თქვენში კი ეს მიღებული არ არის; კუ-კლუქს-კლანი კლავს, ცინიკურად იგდებს ბუჩაზე ფერადკანიანებს, ქალებს და ყოველივე ეს დაუსჯელია ისევე, როგორც ტატ-ეტების გუბერნატორები დაუსჯელად აწიოკებენ სოციალიტ მუშებს.

ევროპაში არ არის ისეთი საზიზღარი მოვლენა, როგორც „ფერადკანიანების“ დევნა, თუმცა ევროპას ტანჯავს სხვა სამარცხვინო სენი — ანტისემიტიზმი, თუმცა ამ სენით შეაყრობილია ამერიკაც.

დანაშაულობა ევროპაში აგრეთვე იზრდება თანდათან, მაგრამ ჯერ არ მისულა იქამდე, რაც,—თქვენი გაზეთების მიხედვით,—ჩიკაგოში ხდება, სადაც, ბირეისა და ბანკების ბანდიტთა გარდა, აგრეთვე თავისუფლად დაპარაპაშენენ რევოლვერებითა და ბომბებით შეიარაღებული ბანდიტები. ევროპაში შეუძლებელია ის ბრძოლაც, რომელიც თქვენში შშრალმა რეკიმმა*) გამოიწვია. შეუძლებელია ქალაქის ისეთი მერი, რომელიც საჯაროდ სწვავდეს ინგოისელი კლასიკოსების წიგნებს, როგორც ჩიკაგოს მერმა ჩაიიდინა.

*) ალკოჰოლიანი სასმელების აკრძალვა. (მთარგმნელის შენიშვნა).

*) ქვეყნდება ა. მ. გორკის არქივის მასალებს მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში

ლენინგრადელ მეცნიერთა თაოსნობას მხარს უჭერენ

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკების თაოსნობა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მოძრაობას მეცნიერების მოიზეფთა და წარმოების სტახანოველთა შემოქმედებითი თანაშრომლობისათვის. ამ ძვირფას ინიციატივას გამოუხმაურნენ მოსკოვის, სვერდლოვსკის, კუიბაშევის, ყაზანის, ტომსკისა და სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა კოლეკტივები.

ლენინგრადის კალინინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ვალდებულება იკისრა შესასრულოს მრეწველობისათვის 150 ნაშრომი, მიმართული თუჯისა და ფოლადის მიღების პროცესების გაუჯერჯესებისაკენ, სრულყოფილი ტიპის ტურბინების შექმნისაკენ, ლითონის დამუშავების ჩქარი მეთოდების შემოღებისაკენ. ლენინგრადის სახელობის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ამუშავებს ქიმიურ წარმოებათა მეცნიერულ-თეორიულ საფუძვლებს, ორგანული საღებავების, მინისა და რეზინის მრეწველობის, ლითონების შესწავლისა და დამუშავების, ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენების ახალ ტექნიკოლოგიურ პროცესებს. 50-ზე მეტ ნაშრომს ასრულებს ლენინგრადის საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტი, რომელიც საწარმოოს დახმარებას უწევს სახარაგანი სახსრების ბრუნვის დაჩქარებაში, სამეურნეო ანგარიშის დანერგვაში, წარმოების დანაკარგის შეცირებაში.

ლენინგრადის მეცნიერთა მოწოდების პასუხად, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორები და მასწავლებლები პირობას აძლევენან — დაიჩქარონ ახალი კონსტრუქციის ამწის ათვისება, სამსხვერპლო წარმოების ავტომატიზაცია და ჩამოსხმის მოწინავე მეთოდების დანერგვა.

კონკრეტული ვალდებულება იკისრეს აგრეთვე ურალის პოლიტექნიკური, კუიბაშევის ინდუსტიალური და ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კოლეკტივებმა. კერძოდ, ისინი ამუშავებენ ელექტროენერგიის ზემაღალი ძაბვის დენის გადაცემის, თერმული დამუშავების ტექნოლოგიის გაუჯერჯესების მეთოდებს და სხვ. გარდა ამისა, მეცნიერები ჭარხლებში გაკეთებენ ახალი ტექნიკის დანერგვის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილ მოხსენებებს.

კოლეგიის სხდომაზე გამოვდა უმაღლესი განათლების მინისტრი ამხ. ს. ვ. კაფტანოვი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანაშრომლობას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის. ამ თანაშრომლობას მოაყვანს აგრეთვე სწავლის პროცესის ხარისხის გაუჯერჯესებასა, იგი მეცნიერ მუშაკებს გაიკნის სოციალისტური მრეწველობის საჭიროების.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა ლენინგრადის მეცნიერთა ინიციატივა და მუშაობის კონკრეტული პროგრამა დაესახა ტექნიკურ, ეკონომიურ და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს. (საკდსი).

„ლაშქარა“

(აკ. ანდრიაშვილის ახალი ოპერა)

თანამედროვე საოპერო ლიტერატურაში მეტად მცირეა კომიკური ოპერის ნიმუშები. პირველი ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“, რომელმაც დადგმის დღიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა, თითქმის ერთადერთი ნიმუშია თანამედროვე, საბჭოთა საოპერო რეპერტუარში. მით უფრო საყურადღებოა თბილისის ოპერის ეს ბალეტის სახელმწიფო თეატრის ახალი პრემიერა — „ლაშქარა“, რომელიც ქართული კომიკური ოპერის შექმნის ახალ საინტერესო ცდას წარმოადგენს.

„ქეთო და კოტესაგან“ „ლაშქარა“ განსხვავდება არა მარტო იმ მხრივ, რომ პირველი მთლიანად ქალაქურ ყოფაცხოვრებას ასახავს, ხოლო მეორე კი სოფლურს, არამედ იმ მხრივაც, რომ „ლაშქარა“ არ წარმოადგენს მახვილ კომედიურ სიტუაციებზე და ხასიათებზე აგებულ ტიპიურ კომიკურ ოპერას. როგორც ეტყობა, ოპერის ავტორს აკ. ანდრიაშვილს განეზრახავს ამ ოპერაში შეეთავსებინონ ორი საწყისი: ლირიკული და ყანრულ-კომიკური.

აკ. ანდრიაშვილი, როგორც კომპოზიტორი, ჩამოყალიბდა ქართული ხალხური და კლასიკური მუსიკის ტრადიციების მკვიდრ საფუძველზე. მაყურებელი მას იცნობს როგორც ლირიკულ-გმირული ოპერის „კაკო ყაჩაღის“ ნიჭიერ ავტორს. ა. ანდრიაშვილის შემოქმედება სრულიად თავისუფალია ეცხოური კულტურის შემბოჭველი გავლენისგან და მთლიანად ქართული მუსიკალური სკოლიდან არის გამოსული. როგორც მისი პირველი ოპერის, ისე „ლაშქარას“ მუსიკას ნათლად ეტყობა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ძლიერი გავლენა, მკვიდრი შემკვიდრეობითი კავშირი დიდი ქართველი კლასიკოსის ზ. ფალიაშვილის ტრადიციებთან.

„ლაშქარას“ ავტორი მსმენელს იზიდავს თავისი დიდი გულწრფელობით და ბუნებრივობით, შეშფოთები ქვეყნის პიეზაჟის და ყანრის უშუალო ათვისებით, სოფლის მუსიკალური ატმოსფეროს შეგრძნობით. მისი მუსიკალური ენა არ არის ხელოვნურად გაფაქიზებული ფაქიზოვანურად ქართულებელი. სოფლელი გლეხკაცის სულიერ განცდებს ავტორი გიმოგვაცემს მისივე ენითა და კილოთი საკმაოდ მარტივად და, შესაძლებელია, ზოგჯერ მდაბიურადაც, მაგრამ მეტად უშუალო და გულიანად. აკ. ანდრიაშვილის ოპერის კავშირი ხალხურ მუსიკაულ და მკვეთრი სანახობითი ფორმებით გამოხატავდა მტერზე გამარჯვების სახარულსა და ზეიმს.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა აკ. ანდრიაშვილს ახალი ოპერისათვის მთლიანად დადებითი შეფასება მიგვეცა. მთელ რიგ ღირსებებთან ერთად მას რამდენიმე სადავო მხარე გააჩნია. „ლაშქარას“ მუსიკას აკლია რიტმიული და ინტონაციური მრავალფეროვნება. კომპოზიტორმა თავს იზღუდავს ქართულ მუსიკაში ოდითვე დამკვიდრებული ფოლკლორული ხერხებით და გამოსახვით საშუალებათა შერეულობა მეტისმეტად მისდევს ტრადიციას. არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს, რომ იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუსიკალური მასალის განვითარებას და გაზზოგადებას, ოპერის ცალკეული ნაწილების ერთიანობას და კანონზომიერებას. სინტეზურად მიგნებულ თემატურ მასალას იგი მეტად ვიწრო ჩარჩოებში აქცევს. ყველა ეს ნაკლი მით უფრო საგრძნობია, რომ ოპერა ემყარება სიუჟეტურად და დრამატურგიულად მდარე ლბრატის (ლიბრეტის ავტორი ი. ზ. ზეიდლიშვილი). მისი ფაბულა არ არის მკაფიოდ მოხაზული.

ქართველ გლეხთა ერთი რაზმი მტერზე გამარჯვების შემდეგ ტყეში ისვენებს. გამარჯვების ალსანიშნავად გაბარებული მებრძოლნი გადაწყვეტენ ძველი ქართული ხალხური ჩვეულებანი—ყეენობის გთამაშებით დაუბრუნდნენ თავიანთ სოფელს. ლიბრეტის არა აქვს მახვილი კომედიური ინტრიგა და მკაფიო სიუჟეტური ავკანი. მისი სიუჟეტი ხელოვნური და მსმენელს არ ალეძრავს დიდ ინტერესს. სუსტი დრამატურგიული ტექნიკის გამო ლიბრეტისტმა ვერ გამოსახა მთლიანი სიუჟეტური ხაზი, რომელიც ორგანულად დაკავშირებდა მის ცალკეულ ნაწილებს. თუმცა სკეტაკლის ავტორებმა საგრძნობლად შეასწორეს ლიბრეტის სუსტი მხარეები, მაგრამ მაინ ეკანასკნელი ვარიანტიც არ არის თავისუფალი სერიოზული დეფექტებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ „ლაშქარას“ მუსიკა მთელ რიგ სცენებში დრამატურგიულად პასუხობდა მის ცალკეულ სოლოები უფრო სიმღერებს ენთუსიაზმიან, ვიდრე საოპერო არიებს, ოპერაში მაინც გარკვეული ჩანს ბგრძნობა მუსიკალური დახასიათების ცდა. კომპოზიტორი აბერხებს ოპერის მთავარ პერსონაჟებს სათანადო მოეძებნოს შესაბამისი მუსიკალური დახასიათება. ამ მხრივ მათი სახეები საკმაოდ დიფერენცირებულია. თუ რაზმის უფროსი ბიძინა და მეტადრე მისი სატრფო მარადო უფრო „სეროიოზული“ ოპერის ბგრიტს უახლოვდებიან, თვით მთავარი ფიგურა ლაშქარა და აგრეთვე სანლრია ნამდვილი ქალური და კომიკური პერსონაჟებია. მთავარი პერსონაჟის — ხუმარა და მხიარული ახალგაზრდა გლეხის — ლაშქარას სახე საკმაოდ ნათელი გამოვიდა ოპერაში. იგი ცოცხლად და კოლორატურად არის ნაჩვენები თავიდან ბოლომდე. მთელი მისი პარტია უმთავრესად აგებულია კუპლეტურ-შაირული სიმღერების მსუბუქ რიტმზე და ნამდვილი ხალხური პუმორის ანარეკლია. მეტად მოხდენილნი ბალეტ ლაკნლიერად მოკვეთილი კომედიური შტრიხებით არის მოხაზული უქნარა და მოსულელი სანლრის სახე. იგი უმთავრესად მოცამღერი მოკლე რეჩიტატიული ფრაზებით და რეპლიკებით.

ლირიკულ გეზს ოპერას აძლევს პირველ აქტში ბიძინას წმინდა ხალხური იერის მეტად გრძნობიერი სიმღერა, რომლის მელოდია თავისი ამპრიზოვაციული მოერდობით ეროვნულსეფერ კილოს შემდეგ დეიტნი გადადის და ამავე აქტის ერთ გუნდურ სეეენაში კვლავ ეკერდება სხვა ელეფრით და ხასიათით. პირველივე აქტის სუეკეფესო ადგილად უნდა ჩაითვალოს ნაზი ლირიკული მელოდიის—ნანას ეეეკანი გადასვლა მხიარულ საეეკეფო სიმღერაში. ოქვე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს გაბარებულ მებრძოლთა გამარჯვების ჭრძნობის ამსახველი გუნდური სიმღერა თავისი ეპიერსაზეიმო გაწყობილებით.

სულ სხვა ხერხებს მიმართავს კომპოზიტორი ნაზი და მეოცენვე მარადოს დახასიათებისას. მისი პატარა პარტია უფრო ლირიკულ-ფსიქოლოგიურ ტონებშია გაზზარული და ფართოდ გაშლილ კანტილენას ეყრდნობა. ამ მხრივ მეორე აქტის და მთელი ოპერის ყველაზე შესანიშნავი ადგილ წარმოდგენს სატრფოს—ბიძინას „ლალატის“ გამო დამწუხრებული მარადოს არია, რომელიც თავისი სიღრმით, მელოდიური გამოკვეთილობით და ფორმის მთლიანობით შეიძლება ჩითვალოს ერთ-ერთ საუკეთესო არიად ქართულ საოპერო ლიტერატურაში. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავისი ტემპერამენტ ტონუსით იგი არ ეხამება ამ აქტის საერთო განწყობილებას. ოპერის ამ აქტში ყურადღებას იქცევს ლირიკული და ყანრულ-კომიკური ტენდენციების კონტრასტული დაპირისპირება. ეს თავდაღნე საოპერ შთაბეჭდილებას ანდენს ხალხური ლირიზმის ტიპიური ნიმუშია—ქალთა ტრიკეტი, რომელიც თავისებურ სამნაწილიან სცენას წარმოადგენს. ბასში მოხდენილად არის შეთავსებული მთელი ანსამბლის მელოდიური კეთილხმოვანება და ლაღი, საცეკვო რიტმზე აგებული პატარა სოლოები ჩონგურული აკომპანემენტით.

სულ სხვა ელფერი შეაქვს მეორე აქტში ახალგაზრდა ქალთა გუნდურ სცენას, რომელიც სახეიმო სიმღერით ადიდებს გამარჯვებულ ქართველთა ლაშქრის. იქვე საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს ქალთა მასობრივი ცეკვა, რომელშიც დიდი მხიარულება შეაქვს სანლრიას კომიკურ ცეკვას.

თუ მეორე აქტი მუსიკალური შინაარსის მხრივ ყველაზე მიმზიდველია ოპერაში და მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს, მესამე აქტი როგორც სცენიერად, ისე მუსიკალურად უფრო სანახობას წარმოადგენს. იგი უმთავრესად საცეკვო ორკესტრ ფერადოვან ინსტრუმენტალურ სახით არის წარმოდგენილი. იგი უმთავრესად საცეკვო რიტმებზეა აგებული და ფართო ბალერინსტენტის სახით არის წარმოდგენილი. ამ აქტის ცენტრალური სცენა—ყეენობა—გაბარებული როგორც თეატრალური ბუფონადა მისთვის დამახასიათებელ ბროტესკულ-კომიკური ნიუანსებით და პანტომიმური სცენებით. მაგრამ ამ სცენის მნიშვნელობა, როგორც მთელი ოპერის ალ ეკლმინაციური მომენტისა, არ არის საკმაოდ ნაგრძნობი და გადმოცემული. აქ კომპოზიტორი უმთავრესად იფარგლება თავისთავად კარგად მოხახული ლეიტმოტივით, რომელიც პირველად ოპერის შესავალში გისმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი

ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲐᲮᲬᲔᲑᲘ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲦᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲜ, ᲛᲔᲬ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲕᲘᲦᲔᲑᲘ

ᲛᲝᲬᲕᲘᲜᲐᲕᲔ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ჩვენ, ამ წერილის ავტორები, ტყიბულის ლენინის სახელობის შახტში ვმუშაობთ. ეს შახტი ტყიბულში ახლა მოწინავეა, მაგრამ ჩვენთანაც მრავალი ნაკლოვანებაა, რომლებიც მალე თუ არ აღმოიფხვრით, შემდგომი წინსვლა გაგვიჭირდება.

ჩვენმა შახტმა თებერვალში სამშობლოს საგრძნობი რაოდენობის ქვანახშირი დააკლო. მარტში, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დადგენილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გაძლიერების შედეგად, შახტმა უკეთესად იწყო მუშაობა. ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალებები ახლა გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ ეს გადაჭარბება ისე დიდი რიგია, რომ საერთოდ მთელი ტრესტის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს.

ჩვენი აზრით, ქვანახშირის ამოღების მკვეთრი გადიდების მასალაწ�არ კმარა მარტოოდენ ადგილობრივი ხასიათის ღონისძიებათა განხორციელება. ჩვენს მუშაობას ხელს უშლის მთელი რიგი ისეთი მიზეზები, რომელთა ლიკვიდაცია მარტოოდენ ტყიბულქვანახშირის ტრესტს და საქართველოს ქვანახშირის კომბინატს შეუძლიათ. დავასახელებთ ერთ ფაქტს, რომელმაც საგრძნობლად შეაფერხა ქვანახშირის მეტი რაოდენობით მოპოვების საქმე.

შახტებიდან ქვანახშირის გამოსაზიდავად საჭიროა საშახტო ვაგონეტები, ხოლო ეს საშახტო ვაგონეტები ისე როდი იმუშაებენ, თუ მათ არ აქვთ დაყენებული ეგრეთწოდებული კონსერი საკისრები. ამ საკისართა უქონლობის გამო მარტში ვაგონთა მთელი პარკი ვერ ვამუშავებთ, ნახშირი გამოუზიდავი დაგვრჩა. თუ სანგრეველიდან ნახშირი არ გაგზიდეთ, ახლის მონგრევა არ შეიძლება. გარდა ამისა, მიწისქვეშ მომუშავე მეშახტეზე ცუდ გავლენას ახდენს, როდესაც მის მონგრეულ ქვანახშირის არ ეზიდებიან.

მეშახტეებმა სათანადო სიგნალი წინასწარ მივეცით შახტის ხელმძღვანელებს, მათ საკისრების მომარაგების საკითხი დააყენეს ტრესტში, ტრესტმა — თბილისში, კომბინატში, ხოლო კომბინატი... ჯერეროვნად როდი- გამოეხმაურა ამ საქმეს. დეპეშას დეპეშაზე გაგზავნინებდით ტრესტის ხელმძღვანელებს თბილისში. დაგვეხმარა პარტიის რაიონული კომიტეტი და როგორც იქნა კომბინატიდან ვეღირსეთ საკისრების გამოგზავნას, მაგრამ საერთოდ საკისრები კი არ გვჭირდებოდა, ჩვენთვის საჭირო იყო კონუსური სავაგონეტო საკისრები გარკვეული ნომრისა. კომბინატიდან კი სულ სხვა ნომრის და სხვა დანიშნულების საკისრები მოგვიყიდა და მათი გამოყენება ვერ შეძელით. გაგა ეს დახმარებაა?

ქვანახშირის ამოღებას აფერხებს აგრეთვე მიწისქვეშა (საშახტო) სალიანდაგო მეურნეობის ცუდი ტექნიკური მდგომარეობა. ზშირად ხდება რომ შუა რიგები სავსეა ქვანახშირით, ელინ ვაგონეტებს, მაგრამ ისინი არ ჩანან. რატომ? — იმიტომ, რომ სადღაც რომელიღაც შტრეკთან ერთი ვაგონეტი ჩავარდნილა, ამან გამოიწვია საშახტო მატარებლების (ქვანახშირის მზიდავი ეშელონების) მოძრაობის შეჩერება და მაშასადამე ქვანახშირის გატანის შეფერხებაც. სანამ შორო სავსეა, სანგრევში მუშაობა უნდა შეჩერდეს, ხალხი უნდა გაცდეს. ამასწინათ, ე. წ. ნოლ ჰორიზონტის საზიდ შტრეკში ძველი სარკინიგზო რელსები ახალი 18-კილოგრამიანი რელსებით შეცვალეს. უწინ სწორედ ამ ადგილას ვარდებოდნენ ვაგონეტები, მაგრამ რეკონსტრუქციის შემდეგ აქ ვაგონეტის ჩავარდნის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

შახტის ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები სალიანდაგო მეურნეობის გასაჯანსაღებლად, მოძრაობის უხნის მუშაკები უნდა აღუზრდონ ჩავარდნილი ვაგონეტების ამოსაღები ხელსაწყოებით.

საჭიროა შახტებში შეექმნათ გზის ოსტატთა მოდმივი ბრიგადები, რომლებიც სალიანდაგო მეურნეობას მოუვლიან. ეს აუცილებელი და სასწრაფო საქმეა.

ჩვენ ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება მიაქციონ მიმდინარე სამთო-მოსამზადებელ სამუშაოებს. ამჟ. თ. კობულაშვილის უბანი, მაგალითად, მიმდინარე სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა შეჩერების გამო არაა უზრუნველყოფილი სამუშაო ფრონტით და ამის გამო ეს უბანი დღეღამეში 30-40 ტონა ქვანახშირს გვაკლებს.

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ საექსპლოატაციო უბნებს მივამაგრით ბიგვების მზიდავთა ბრიგადები, რაც ხელს შეუწყობს ინგრეველებს ქვანახშირის მოპოვებაში.

ჩვენ რამდენიმე ძირითად საკითხს შევეხეთ. ეს საკითხები, ალბათ, სხვა შახტებშიც აწუხებთ მეშახტეებს. ყველა უნდა დავეხმაროს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში და მაშინ ჩვენც, მეშახტეებსაც გაგვიადვილდება მეტი ქვანახშირის ამოღება.

ა. ᲓᲐᲠᲐᲨᲐᲫᲔ, Შ. ᲐᲨᲮᲐᲘᲫᲔ, Ლ. ᲫᲔᲘᲤᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საპატიო მეშახტეები.

ᲡᲐᲛᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ ᲰᲘᲓᲠᲐᲕᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲡᲔᲑᲐᲖᲔ

ქვანახშირის ამოღების გადიდება ბევრად არის დამოკიდებული შახტში ქვანახშირის ფენათა დამუშავების შესაფერისი მეთოდის შერჩევაზე. ამ მხრივ ტყიბულში ყველაფერი რიგზე როდია. ამჟამად გამოყენებული მეთოდი ქვანახშირის ჭერის ჩამოქცევის წესით ფენათა დამუშავებისა ტექნიკურად გაუმართლებელი და არარენტაბელურია.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნა ტყიბულის შახტებში დამუშავების ჰიდრავლიკური ვსების წესის სწრაფად დანერგვის აუცილებლობა.

ჰიდრავლიკური ვსების წესით ქვანახშირის ფენების დამუშავების საცდელი სამუშაოები წარმოებს სტალინის სახელობის შახტში. ცდები უკვე ორ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მტკივნეული ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის საკითხები გადაუჭრელი რჩება, რის გამოც ამ წესით გამოღებული ქვანახშირის ოდენობა უმნიშვნელოდ იზრდება. 1947 წელს გამოღებულ იქნა 17.519 ტონა ქვანახშირი. 1948 წელს კი 33.599 ტონა. ეს ციფრები უდავოდ მოწმობენ, როგორც შახტის ხელმძღვანელობის, ისე ჰიდრავლიკური ვსების ექსპერიმენტული კანტორის (სანტორის უფროსი ინჟინერი ვ. ტორონჯაძე) არადამაკმაყოფილებელ მუშაობას. ტყიბულქვანახშირის ტრესტთან აღნიშნული კანტორის შექმნა ნაკარნახევი იყო დამუშავების ჰიდრავლიკური ვსების საცდელი სამუშაოების დაწყებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ექსპერიმენტული კანტორა საკუთარი ცდების დაყენების ნაცვლად შახტის მიერ დაწყებული ცდების დაკვირვებით განსაზღვრავს თავის მუშაობას. ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის წარმატებას უწმინარეს ყოვლისა განსაზღვრავს სავსები მასალის ხარისხი. რაც უფრო მეტ თიხის მინარევეს შეიცავს სავსები მასალა, მით უფრო რთულია ვსების ტექნოლოგიური პროცესი. ჩვენი სავსები მასალა კი მდიდარია თიხის მინარევებით (27 პროცენტამდე). ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასალა საეთოდ გამოუსადეგარი იყოს. ჩვენი აზრით, აუცილებელია სავსები მასალის გადამუშავება წარმოებდეს ჰიდროფლოტაციური წესით მიწის ზედაპირზე. ეს საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე შევამციროთ მიწისქვეშ, შახტში გამონამუშევართა ამოვსების შედეგად დაღვრილი წყლით წაღებული ნალექები (ტალახი), რომლის გამოტანაც შახტიდან ტრანსპორტის მოცდენის გარდა, ტექნიკურად შრომატევადი სამუშაოა. ესეც არ იყოს, თიხის გამოყოფა ზედაპირზე ტექნიკურად გაცილებით იდვილია, ვიდრე მიწის ქვეშ.

ჩვენ დღემდე საცდელ ვსებას ვაწარმოებდით მიწისქვეშ წყალსწრეტი აუზების უქონლად, რის გამოც ვსების პროცესში გამოყოფილი წყალი და შლამი ხელს უშლიდა მიწისქვეშა ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას. დროებითი წყალსწრეტი აუზები კი არაპრაქტიკული აღმოჩნდნენ.

ახლა ჩვენთვის ყველაზე ძნიშვნელოვანი საკითხია ჰიდრავლიკური ვსების სისტემის შერჩევა — როგორ უნდა ვაწარმოოთ ვსება — დახრილი შრეებით, თუ ჰორიზონტული ლავების მიხედვით.

სტალინის სახელობის შახტში მიმდინარე წლის აპრილ-მაისში, გარდა ამჟამად მოქმედი უბნისა, ჰიდრავლიკური ვსების წესით დამუშავებაზე გადაყვანილი იქნება კიდევ ორი მძლავრი საექსპლოატაციო უბანი. ქვანახშირის სადღეღამისო გამოღება ამ მეთოდის დანერგვის შედეგად უნდა გაიზარდოს ერთი ხუთად მაინც. ჩვენი შახტის კოლექტივი საამისოდ დიდ სამზადისს ეწევა, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა დაჩქარდეს საკარიერო მეურნეობის რეკონსტრუქცია, შახტი უზრუნველყოფილ იქნას აუცილებელი ტექნიკური ხელსაწყოებით — სპეციალური მძლავრი ტუმბოებით, სხვადასხვა მოწყობილობითა და ტექნიკური პერსონალით.

Ლ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ
სტალინის სახელობის შახტის უფროსი

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. მეშახტეთა ახალი საცხოვრებელი უბანი მოლოტოვის სახელობის შახტთან.

ᲐᲮᲐᲚ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲮᲐᲠᲐᲩᲝᲔᲑᲖᲔ

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითებებმა ტყიბულელი შახტმშენებლები აღფრთოვანეს იმ დიდად პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად, რომლებიც მთ აკისრიათ ქვანახშირის მრეწველობის განვითარების საქმეში.

როგორც ცნობილია, რუსთავის მეტალურგიული გიგანტი მომარაგებულ უნდა იქნას მხოლოდ ტყიბულისა და ტყვარჩელის კოქსკენელ ქვანახშირით. ეს მოითხოვს უმოკლეს დროში მივაღწიოთ ტყიბულის ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც ძნელი იქნება, თუ ტყიბულში ქვანახშირის გამაუხვეველი, ანუ გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა დროულად არ დამთავრდა.

ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხნის მშენებლობა ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ტყიბულშახტმშენის ტრესტის მიმდინარე წლის გეგმაში გათვალისწინებულ ყველა სამონტაჟო სამუშაოთა 40 პროცენტს აღნიშნული ქარხნის მშენებლობა შეადგენს. ეს სამუშაოები ისე უნდა წარიმართოს, რომ მომავალ, 1950 წელს ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცეს მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაში. ქარხანა დიდი და მეტად შრომატევადი ობიექტია. ტყიბულელ შახტმშენებლებს დაგვიჭირდება ყველა ძალთა და საშუალებათა მობილიზაცია, რათა ღირსეულად გავართვათ თავი ამ საქმეს.

მაგრამ ამ ობიექტის აგება და მოწყობა ამოცანის ერთი მხარეა. ქარხანასთან უნდა გაშენდეს მუშათა ახალი საცხოვრებელი უბანი, რაც შახტმშენებლებმა უნდა აკეთონ. სახლებისათვის მიწის ნაკვეთები გამოყოფილია, უბნის ტერიტორია შემოფარგლულია და ახლა მხოლოდ იმას ველით, რომ საქართველოს შახტპროექტმა მალე მოგვაწოდოს პროექტები. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს წელს ეს ახალი საცხოვრებელი უბანი გავაშენოთ და ტყიბულელი დავაშენინოთ ახალი არქიტექტურული ანსამბლით, ლამაზი და კეთილმოწყობილი ახალი საცხოვრებელი უბნით.

შახტმშენებლების მეორე არანაკლებ პასუხსაგები ამოცანაა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის შახტების გაღრმავება და ამ შახტების საპროექტო სიმძლავრემდე აყვანა. გაღრმავების სამუშაოები ორივე შახტში მიმდინარეობს იმ ვარაუდით, რომ გაიხსნას ქვანახშირის მოსაპოვებელი ახალი ველები 200 მეტრი სიღრმის ჰორიზონტებზე. ეს სამუშაოები მიმდინარეობს ისეთი ახგარიშით, რომ ამ ახალ ველებზე ქვანახშირის ამოღება დაიწყოს 1951 წელს.

ლენინის შახტში წელს შახტმშენებლებმა უნდა გაიყვანონ 120-მეტრიანი მთავარი ლოკი (ესაბრი გვირაბი), ხოლო სტალინის სახელობის შახტში — 188-მეტრიანი. ამ სამუშაოთა შესრულებას ხელმძღვანელობენ ტყიბულის შახტმშენებელთა საუკეთესო წარმომადგენლებმა — სოციალისტური შრომის გმირის პ. ჭელიშვილის, ორდენოსნების ვ. ბარტნოვსკის, ს. გეგენტაძის, ვ. კუზმინის და სხვა მოწინავე შახტმშენებელთა ბრიგადები.

შახტმშენებლებს მინდობილი აქვთ აგრეთვე ჰიდრავლიკური ვსებისათვის სათანადო მეურნეობების მშენებლობა. მარტო ამ სამუშაოთათვის შახტმშენებლებმა წელს უნდა აითვისონ ერთი მილიონი მანეთი. იმისათვის, რომ დაჩქარდეს 200 მეტრი სიღრმის ჰორიზონტზე ქვანახშირის ველების საექსპლოატაციოდ გადაცემა, საჭირო იქნება თითო სანგრევი შტრეკის გაყვანა მაინც ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში. ამ მხრივ შახტმშენებლებს დასჭირდებათ ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და ცალკე შახტების ხელმძღვანელთა დახმარება.

ტყიბულის შახტმშენებლობის ტრესტი ჩამორჩენილია მუშათა საბინაო მშენებლობაში. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა ჩვენ ამის შესახებ მიგვითითა და ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა გამოვასწოროთ ეს ჩამორჩენა, გადაჭრით გარდაეშენთ მუშაობა ამ მიმართულებით. სათანადო ღონისძიებები უკვე დამუშავებულია, დავიწყეთ მათი განხორციელება. ახლა მთავარი ის არის, რომ არ შევანელოთ ყურადღება ამ საქმისადმი.

ტყიბულელმა შახტმშენებლებმა გადაწყვიტეს წელს გეგმის გადამეტებით გადასცენ 1.000 კვადრატული მეტრი ფართობი მუშათა საცხოვრებელი ბინებისათვის. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ ყველა პირობა გვაქვს და ეჭვი არაა, რომ იგი წარმატებით განხორციელდება.

„ᲓᲘᲓᲠᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

„ᲬᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲑᲘ

ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲓᲘᲡ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. (საკუთრ.). დღეს ფლაშინგ მედოუზში (ნიუ-იორკი) გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილი.

დღესვე შედგება ასამბლეის გენერალური კომიტეტის სხდომა.

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. (საკუთრ.). 5 აპრილს მუშაობა განაახლა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიამ, რომელიც 1948 წლის 12 დეკემბერს შეწყდა პარიზში. სესიიან უნდა განახილოს 19 საკითხი, რომელთა განხილვაც პარიზში არ დამთავრებულა. ამ საკითხთა შორის არის—საკითხი ფრანკისტული ესპანეთის, იტალიის ყოფილი კოლონიების, ლტოლვილებისა და ადგილდამდაბაცვლებული პირების შესახებ და სხვ. გარდა ამისა, პროცედურის წესების შესაბამისად, სესიის დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნას ახალი საკითხებიც. მაგალითად, ინდოეთისა და ავსტრალიის დელეგაციებმა უკვე ოფიციალურად შეიტანეს წინადადება, რომ გენერალურმა ასამბლეამ განიხილოს ინდონეზიის საკითხი.

სესიაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკს ჩამოვიდა 400-ზე მეტი დელეგატი. საბჭოთა კავშირის დელეგაციას სესიაზე მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო, საბჭოთა ბელორუსიის დელეგაციას—ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, უკრაინის სსრ დელეგაციას—ვ. ა. ტარასენკო.

ამერიკის მემარჯვენე პრესა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხელოვნურად შეასუსტოს საზოგადოებრიობის ინტერესი გენერალური ასამბლეის განხილვებული სესიისადმი, მაშინ როცა გაზეთებში დაწერილებით და მყვირალა სათაურებით აღწერილია 4 აპრილს ვაშინგტონში ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია. ბევრი გაზეთი არ ფარავს იმ გარემოებას, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია, რაც არანაირებრივი ზარითა და ზეიმით ყოი მოწყობილი, სპეციალურად შეუფარდეს გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილის განსვლას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იძულებული იყო 5 აპრილს ეფიარებინა: „დელეგატთა ერთსულოვანი აზრით, პაქტი სეროზულად შეასუსტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟს“. გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, ხასიათები რა დელეგატთა განწყობილებას, ვერ მალავს, რომ ატლანტიკის პაქტი და ხელშეკრულება დასაკეთი ეერთბა კავშირის შესახებ „მომზადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გვერდის აყენთ და ნასიათდება, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედითობისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენება“.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ თუმცა ატლანტიკის პაქტის საკითხი გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში არ დგას, მას მაინც დიდ ყურადღებას აქცევენ.

სხდომის გახსნის წინ დარიგდა აჩერსონის სტატიკური განცხადება, რაც გაკვეთილია პრესისათვის. აცხადებს რა „ამერიკელი ხალხის რწმენას, რომ გაერთიანებული ერები მსოფლიოში მშვიდობიანი საზოგადოების აგების საუკეთესო იმედს წარმოადგენენ“, ეს განცხადება ერთი სიტყვითაც კი არ ამეცნებენს, რომ შეერთებული შტატების მთავრობას განზრახვა ჰქონდეს მხარი დაუჭიროს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციასა და მის წესებებს.

სხდომის გახსნასას გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ, ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევატმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც გულმოდგინედ ილარა გვიდან ყველა მწვავე საკითხს.

ევატმა ითქვა დაიწყო, რომ აღნიშნა: უახლოეს ხანში სრულდება ოთხი წელი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნაში.

ევატმა ასამბლეას გაახსენა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მიიღეს სან-ფრანცისკოში ქვეყნებმა, „რომლებიც ერთად იბრძოდნენ ტირანიის წინააღმდეგ“, და რომ ეს წესდება „გამოხატავს მთელი კაცობრიობის იმედს მშვიდობისადმი და იმის რწმენას, რომ მშვიდობა და სამართლიანობა შეიძლება მიღწეულ იქნას“.

განაცხადა რა ეს უეჭველი და დიდი ხნის ცნობილი ჭეშმარიტება, ევატმ შემდეგ შეეკედა ხელოვნურად გამოყენო საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბედის შესახებ ინგლის-ამერიკის პოლიტიკისაგან, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სერიოზული ზიანი მიაყენა.

ცდილობდა რა გაეთავისუფლებინა ინგლის-ამერიკის ბლოკი პასუხისმგებლობისაგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირის გამოთხრისათვის, ევატი ფაქტიურად შეეცადა გამემართებინა ეს აგრესიული ბლოკი.

ევატმა ჩამოთვალა საკითხები, რომლებიც ასამბლეამ უნდა განიხილოს, და ხელოვნური ოპტიმიზმის კილოთი შეაქო გენერალური ასამბლეის შორშიდელი საქმიანობა პარიზში. მაგრამ უმალვე იქცევა ეს ჩვეული კილო და გადავიდა მოწოდებაზე—დაეცვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებები.

აშკარად თვალსაზრისებდა რა, რომ მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების დადებას განიხილავს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებების პირდაპირ დარღვევას, ევატი შეეკედა გაუბედავად და ნარათელად ბიჭსსენებინა ამ ხელშეკრულების ინიციატორებისათვის, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებების დაცვაო. განაცხადა რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველმა წევრმა ქვეყანამ თავისეულად მიიღო წესდება და იკისრა ვალდებულება დაიცვას მისი პრინციპები, ევატმ თქვა: „წესდება ითვალისწინებს, რომ ყველი ვალდებულება, რომელთაც ცალკეული ქვეყნები ან ქვეყნების ჯგუფები კისრულობენ, უნდა დაექვემდებაროს იმ ვალდებულებებს, რომელიც მთ იკისრეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებებთან ან რომელიც შეეფერებიან ამ ვალდებულებებს“. ამით დაამთავრა გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ წესდების დამოწვევეთა „ბაკრატეკება“.

საერთოდ ევატის სტატეა უფერული იყო.

ევატის სიტყვის შემდეგ ასამბლეა შეეფდა პირველი (პოლიტიკური) და მეხუთე (ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების) კომიტეტების თავმჯდომარეთა არჩევას, ნაცვლად სპაკისა (ბელგია) და უილგრესისა (კანადა), რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ ასამბლეის სხდომებში.

პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ვან ლანგენჰოვი (ბელგია), ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარედ — ინგანტეევი (კანადა).

ამით დასრულა გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილის პირველი სხდომა. საღამოს შედგა გენერალური კომიტეტის სხდომა.

მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მდგომარეობის საკითხის კომისიის მესამე სესიამ

ბეირუთი, 6 აპრილი. (საკუთრ.). მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მდგომარეობის საკითხის კომისიის მესამე სესიამ.

სესიის დახურვის წინ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხ. ე. პოპოვამ განცხადება გააკეთა. „სესიის მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით, — თქვა მან, — უნდა შეგახსენებ ზოგიერთი შედეგი. საერთაშორისო ვითარება და ბევრ ქვეყანაში ქალთა მძიმე უუფლებო მდგომარეობა დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ კომისიას მთელი რიგი ეფექტიანი ღონისძიებანი განეხორციელებინა.

გაამართალა თუ არა ახლანდელმ სესიამ მთელი მსოფლიოს ქალთა იმედი?

გულისუფხილთან უნდა ეუსპუხო ამ კითხვაზე უარყოფითად. საბჭოთა დელეგაციი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ეს იმედი რამდენადმე მაინც გამართლებულიყო. მაგრამ საბოტაჟის პოლიტიკის შედეგად, რასაც კომისიაში ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელები ეწეოდნენ მექანიკური ეკლესიური გამოყენების გზით, მიღებული არ იქნა საბჭოთა რეზოლუციები არც ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ, არც მამაკაცისა და ქალის თანაბარი შრომის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის შესახებ. ამ უკანასკნელ საკითხზე მთელი მსოფლიოს ქალები მოუთმენლად ელოდნენ კომისიის გადაწყვეტილებას, რადგან მამაკაცის თანაბარი შრომის ანაზღაურებასთან შედარებით ქალის შრომის შემცირებელი ანაზღაურება ექსპლოატაციის ერთ-ერთი ყველაზე დაბეჯენილი სახეა“.

ამხ. პოპოვამ აღნიშნა ქალთა უუფლებობა კაპიტალისტურ სამყაროში, კერძოდ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საბერძნეთი, ესპანეთი და სხვები. შემდეგ იგი დაწერილებით შეეხო ქალთა მდგომარეობას საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირში ქალი, თქვა ამხ. პოპოვამ, ყველა უფლებით სარგებლობს მამაკაცის თანაბრად. ქალთა უფლებანი გარანტირებულია კონსტიტუციით, რომელსაც ხალხი სტალინურს უწოდებს.

დარწმუნებული ვარ, თქვა თავისი სიტყვის დასასრულ ამხ. პოპოვამ, სსრ კავშირის მაგალითთან აღფრთოვანებული მილიონობით მშრომელი ქალი იბრძოლებს ითსაკეთებს, რომ მთელ ქვეყნებშიც, სადაც დღემდე ქალები მოკლებულნი არიან ყოველგვარ უფლებას, ასეთ მოარეულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებებში ჩაიწერ „ბანმტკიცდეს ჩრდილოადმიანის ძირითადი უფლებებისაგან, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისაგან, მამაკაცისა და ქალის თანასწორფუფლებიანობისა და დიდი და მცირე ერების უფლებათა თანასწორობისადმი“.

ამხ. პოპოვამ გამოსვლის შემდეგ ეკენი უყარეს მოხსენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქალთა მდგომარეობის საკითხის კომისიის მესამე სესიის მუშაობის შესახებ. მისი მიღების სასარგებლოდ ხმა მისცეს ყველა დელეგაციამ, გარდა საბჭოთა დელეგაციისა, რომელმაც კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ინგლისში ფართოვდება მოძრაობა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისადმი მხარდასაჭერად

ლონდონი, 6 აპრილი. (საკუთრ.). „დიდი ფორკერი“ წერს, რომ ინგლისის უდიდესი ფირმის „ჯონსონ ჰეენ ფილიპსის“ (ლონდონი) საკამეო ქარხანის მუშაკნ თავის დელეგატებს გაგზავნეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე. ფერნსბლის, კიმბერიანისა და ბეტს-ჰანგერის მაღაროელთა ეროვნული კავშირის განყოფილებებმა ადგილეთ გადაწყვეტს თავიანთი დელეგატები გაგზავნონ კონგრესზე.

ინგლისის ტრანსპორტის მუშაბის წარმოდგენილები კონგრესზე იქნებიან კიბსენდის რკინიგზელთა ეროვნული კავშირის განყოფილების დელეგატები და ორთქლმავალთა მემანქანეებისა და ცეცხლფარეშების გაერთიანებულ პროფკავშირის პეიტსჰეიდის განყოფილების მდივანი.

გარდა ამისა, დელეგატები მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე დასასწრებად ირჩიენენ სავაჭრო და გამმანაწილებელი ქსელის მუშაკთა ეროვნული კავშირის ეორინგტონის განყოფილებამ და პოლგარფიფოელ, სამკერძალთ და ქალალდის მოეწყვლების მუშაკთა ეროვნული კავშირის რატენგლენის განყოფილებამ და სხვებმა.

„დიდი ფორკერი“ ათავსებს დიასახლისებისა, დედების წერილებს, რომლებშიც გამოთქვამენ მხარდაჭერა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისადმი.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წინ

პარიზი, 5 აპრილი. (საკუთრ.). დღითიდღე მატულობს სხვადასხვა ეროვნების, პოლიტიკური რწმენისა და სარწმუნოების ადამიანთა ნოდენობა, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ინიციატივას.

კონგრესში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს ორგანიზაციებმა, რომლებიც 550 მილიონ კაცს წარმოადგენენ.

30 ქვეყანაში შექმნილია და ენერგიულად მუშაობენ მშვიდობის მომხრეთა საინიციატივო კომიტეტები.

პარიზის გარეეთან ვიტრში აქტიურად ემზადებიან კონგრესისათვის. „მშვიდობისა და თანასწორუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის ადგილმდებარეა საბჭოს კომისიამ შექმნა ჯგუფი პროფესორ ტრუეგნისათვის გასაგზავნ წერილზე ხელმოწერის შესაგროვებლად. (ამ წერილში გამოთქმულია ფრანგი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი; წერილი არ იცნობს საფრანგეთის მთავრობის უფლებას — ხელი მოაწეროს ატლანტიკის პაქტს, რომელიც არღვევს საფრანგეთის საერთაშორისო ვალდებულებებს; წერილში გამოხატულია ხალხის ერთგულება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებისადმი. — რედ.).

23 აპრილ ვიტრში მოხდება პა-დე-კალეზ-ის მოსული „შვიდობის ქარავნების“ შეხვედრა. (სხვადასხვა ორგანიზაციების თანამხმით წარმომადგენელი და ცალკე პირები საფრანგეთის დასახლებულ პუნქტებში ქმნიან „მშვიდობის ქარავნებს“ და პარიზს მიემართებიან პლაკატებთა და ლოზუნგებით, რომლებიც მშვიდობის დაცვისაკენ მოუწოდებენ).

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტის ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანოს ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარე გო-მო-ჟო, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე გი დე ბუსონი და ინგლისელი ოერისტი დ. ნ. პრიტი.

პოლონელი გლეხები მიესალმებიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისადმი

გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის სრულიად პოლონეთის ყრილობის რეზოლუცია

ვარშავა, 6 აპრილი. (საკუთრ.). გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის სრულიად პოლონეთის მესამე ყრილობამ საბოლოო სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც სახალხო პოლონეთის 15 მილიონი მშრომელი გლეხის სახელით აცხადებს, რომ „პოლონელი გლეხები სრულ სოლიდარობას უცხადებენ მშრომელებს, მშვიდობისა და სამართლიანობის ძალებს, რომელთა დასაყრდენს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, რომელსაც ჩვენნ ქვეყანა უმადლის ჰიტლერული უღლისაგან გასთავისუფლებას“.

„პოლონელი გლეხები, — ნათქვამია რეზოლუციაში, — სავსებით უჭერენ მხარს პოლონეთის მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირთან, ტაბორიობის მოწინავე რაზმთან, მშვიდობისა და ხალხთა დამოუკიდებლობის ბურჯთან კავშირისა და მეგობრობის პოლიტიკას.

პოლონელი გლეხები გმობენ ამერიკის იმპერიალისტებსა და იმ ქვეყნების მთავრობათა სამარცხვინო პოლიტიკას, რომლებმაც თავისი ხალხების ნების საწინააღმდეგოდ ხელი მოაწერეს ჩრდილო ატლანტიკის პაქტს. ეს პაქტი ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათთ აგრესიული პოლიტიკის იარაღია და თავისი მახვილით მიმართულია არა მარტო იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმა ხალხმა გაიძარჯვეს და საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება, არამედ აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მასების წინააღმდეგ, სოციალური ცხოვრებისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის მათი ბრძოლის წინააღმდეგ.

ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს დასავლეთ გერმანიისაგან შექმნას სამხედროელი და სამხედრო ბაზა აგრესიისათვის, დახმარებას უწევს მთელ რეაქციულ გერმანულ ჰიტლერულ ძალებს და ასაზრდოებს მათს რევანშისტულ გეგმებს, რომლებიც მიმართულია ოდერსა და ნოისაზე პოლონეთის საზღვრების წინააღმდეგ.

გლეხთა ურთიერთდახმარების კავშირის ყრილობა გმობს იმპერიალისტური დასავლეთი სახელმწიფოების ვერაგულ პოლიტიკას, რომელიც არღვევენ იალტასა და პოტსდამში საზეიმოდ მიღებულ ვალდებულებებს“.

იმპერიალისტთა ხრიკები, ნათქვამია შემდეგ ყრილობის რეზოლუციაში, ვერ მიჩქმალავენ ამ ჭეშმარიტებას, რომ მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ომის ძალები.

„მშვიდობასმოწყურებული ასობით და ასობით მილიონი ხალხის ნების მძლავრი გამოხატველი იქნება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი პარიზში. ყრილობა ენთუზიაზმით ეგებრობა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესს“.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მიმეხრო მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესს

პარიზი, 6 აპრილი. (საკუთრ.). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელმა კომიტეტის თავმჯდომარეს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის შემდეგი წერილი გუგზავნა:

„ჩვენმა ფედერაციამ კმაყოფილებით აღნიშნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისადმი მრავალი პროფკავშირული ორგანიზაციისა და სხვადასხვა მმართველობის ეროვნული პროფკავშირული ცენტრების მიმხრობა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი თავისთ შექმნის მომენტიდან მშრომელთა ყურადღებას მოდგამ მაჰქცევდა მშვიდობის საკითხის მნიშვნელობას. 1945 წელს მიღებულ ჩვენს წესებებში მსოფლიოს პროფკავშირული ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობის თანხმობით ზეგმოთ ჩაეწერეთ, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი, კერძოდ, შემდეგ მიზნებს, ისახავს: ბრძოლა ომის წინააღმდეგ და ომის მიზეზთა წინააღმდეგ; ბრძოლა ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის შესაქმნელად და ამავე დროს მონაწილეობის მიღება მძლავრი და ეფექტიანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნაში, რომელსაც გააჩნია ძალა, რომელიც საკრთო სოციალურ და ეკონომიურ დარგებში რაც შეიძლება ეფექტ მეტიო საერთაშორისო თანამშრომლობის წაზალისებლ. გზით ყოველგვარი აგრესიის აღმოსაფხვრელად და მშვიდობის შესანარჩუნებლად; მხარდაჭერა ყველა ღონისძიებისათვის, რომელიც მიღებულია ქვეყნების სამრეწველო განვითარებისა და რესურსების სრული გამოყენების მიზნით; ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ ყველა ხალხის დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა სრული განხორციელებისათვის.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მონაწილეობა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის მუშაობაში დაკვეულია ეფო ჩვენი მიმწერობაციით — დაკვემყარებინა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა სამართლიანობისა და პროგრესის ბაზაზე, მშრომელთა საკეთილდღეოდ.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესმა, უეჭველია, უნდა გამოიწვიოს მთელი მსოფლიოს ორგანიზაციებიდან მშრომელთა დიდი თანაგრძნობა და მხარდაჭერა. ეს კონგრესი, მის მონაწილეთა სარწმუნეობის, ეროვნების, პროფესიისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, შექმნის დემოკრატიული ძალების მტკიცე კავშირს მშვიდობის დასაცავად, მესაბე მსოფლიო ომის გამჩაუნებელთა წინააღმდეგ.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციი პირობას გაძლევენ, რომ სრულ მონაწილეობას მიიღებს დიდ და კეთილშობილურ საქმეში, რაც დაწუნებულია ამისათვის, რომ ხალხებს მიეცეთ მშვიდობა, რაც მათ ესოდენ მაუნჯებრივ სურთ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას სავსებით აქვს, შეგნებული, რომ საჭიროა შეიქმნას და გაფართოდეს მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციი, რომელიც საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეებს აერთიანებს“.

წერილს ხელს აწერენ: ლიფ სიანანი — პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი, ოლტროკეკი და ჰბერტი — გენერალური მდივნის მოადგილეები.

„შვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ორგანიზაციამ გადაწყვეტა მთელი თავისი ძალები და ყველა თავისი ორგანიზაციი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის განკარგულებაში გადასცეს.

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის სავაჭრო ურთიერთობისათვის

2 აპრილს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ოქმი საქონლბრუნვის შესახებ 1949 წელს სსრ კავშირსა და შეეციას შორის.

ამ ოქმის თანახმად, შეეცია საბჭოთა კავშირს 1949 წელს მიაწოდებს ბურჟუელსაკისარებს და გორგოლაჭსაკისარებს, ხარისხიკან ფოლადს და მის ნაკეთობას და სხვა საქონელს. საბჭოთა კავშირი შეეციას მიაწოდებს მინერალური სასუქს, ასბესტს, საცხებ ზეთებს და სხვა.

ოქმს ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრიდან — საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ პ. ნ. კუმეკინმა და შეეციის მხრიდან — შეეციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა რ. სულმანმა. (საკუთრ.).

საჭადრაკო მაჯრ-ფურნირი მოსკოვი-ბუდაპეშტი

2 აპრილს მოსკოვში გათამაშდა მოსკოვ-ბუდაპეშტის მატჩ-ტურნირის მეორე ნახევრის პირველი ტური.

გროსმაისტერმა კოტოვმა მოუგო უნგრეთის ოსტატს ფლორიანს, მოსკოველ ჩემპიონმა აკერბაევმა მოუგო უნგრეთის ოსტატს ბარკას, გროსმაისტერმა ლილიენტალმა მოუგო გრეგენს.

ფიუშტერ-ფლორის პარტია მე-20 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი ოთხი პარტია გადაიდო.

ამრიგად მატჩ-ტურნირის მეორე ნახევრის პირველი ტური დამთავრდა ანგარიშით 3,5:0,5 მოსკოველ გუნდის სასარგებლოდ, ხოლო ოთხი პარტია გადადებულია.

3 აპრილს შედგა მოსკოვ-ბუდაპეშტის მატჩ-ტურნირის მეორე ნახევრის მეორე ტური.

ბარეკ-ბრონშტეინის პარტია საბჭოთა გროსმაისტერის გამარჯვებით დამთავრდა, რაგონინმა მოუგო უნგრეთის ოსტატს სალის. ექვსი პარტია გადაიდო.

4 აპრილს გათამაშდა პირველი ორი ტურის გადადებული პარტიები. პირველი ტურის სილილინგინის პარტიაში პარტნორება ყაიმზე შეთანხმდნენ.

5 აპრილს გათამაშდა მატჩ-ტურნირის მეორე ნახევრის მესამე ტური.

უნგრელმა ოსტატმა ფლორიანმა წააგო მოსკოველ ჩემპიონ აკერბაანთან. სომაგინმა მოუგო ფიუშტერს. რაგონინმა მოუგო ტარპოს. დანარჩენი ოთხი პარტია გადაიდო.

მატჩ-ტურნირის მეორე ნახევრის მესამე ტურის შემდეგ მატჩის საერთო ანგარიშია 55,5:28,5 მოსკოველ გუნდის სასარგებლოდ.

6 აპრილს გათამაშდა მატჩ-ტურნირის მეორე ნახევრის მე-4 ტური.

სმისლოვამ მოუგო სილის, ბარკამ — ლილიენტალს, რაგონინ-ფიუშტერისა და გერენგ-კოტოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ოთხი პარტია გადაიდო.

7 აპრილს შედგება მე-3 და მე-4 ტურის დაუთავრებელი პარტიების გათამაშება. (საკუთრ.).

კოლმეურნეთა სრულიად რუსეთის საჭადრაკო ჯერნირში გაგარკეულთა შეხვედრა

5 აპრილს მოსკოვში გათამაშდა კოლმეურნეთა სრულიად რუსეთის საჭადრაკო ტურნირში გამარჯვებულთა — ბორისენკოვისა (მოსკოვის ოლქი) და ეფიმოვისა (კალინინის ოლქი) მატჩის მეორე პარტია. ეფიმოვიმ, რომელიც შავებით თამაშობდა, ხელი დადო ინიციატივა და მოიგო პარტია.

ორი შეხვედრის შემდეგ წინ არის ეფიმოვი: მას 1,5 ქულა აქვს. (საკუთრ.).

კელხოველის სახელობის საქალაქო პარტიკონფერენციაზე

9 აპრილს, დილის 10 საათზე, შედგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონულების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკების სემინარი თემაზე: **„საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისა და თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის შედეგები“.**

ლექტორი დოცენტი ლ. გორგოლაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 26 აპრილს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის თეოდოტიერაპიაში (შეღაჩავილის ქ. № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ექმნება **გიორგი დავითის-ძე იოსელიანი** დაიცვას დისერტაციის თემაზე: **„კუჭის დისტალური და თორმეტგოჯა ნაწლავის პროკსიმალური ნაწლავის ფორმისა და მდებარეობის ცვალებადობის საკითხისათვის“.**

ოფიციალური ოპონენტები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **გ. ლ. ხეჩინაშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დოცენტი **ნ. ა. ჯაფაბრშვილი-ალმანიძე.**

მსურველი შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარეზნიშვილი ქ. № 2).

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები

ნებაყოფლობითი დაზღვევის წესით აზღვევენ

საოჯახო ქონებას:

ავეჯს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს,
მოსაკალურ ინსტრუმენტებსა და სხვას,
აგრეთვე პროდუქტებსა და სათბობის მარაგს, საშენ მასალას.

სახელმწიფო დაზღვევა ანაზღაურებს

ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრითა და სხვა სტიქიური უბედურებით, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს ქონების მოპარვითა და დაკარგვით გამოწვეულ ზარალს.

დაადზღვიეთ საოჯახო ქონება!

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციებს ან აგენტებს.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სსრ-ში.

თეატრებში

ფაფალაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	8-IV 9-IV	**„ჩიო-ჩიო-სან“** 6 ან. 11 ნაჩვ. **სწორედ ნამთა მხატვრული თეთრთმოქმედებიდი ოლიმპიადა** ფაანასაქველი სალამო
რუსთაველის სახელობის	8-IV 9-IV	**„ოფელო“** 3 ან. 5 ნაჩვ. **„ჩაქირული ვეფხი“** 6 ან. 8 ნაჩვ.
მარჯანიშვილის სახელობის	8-IV 9-IV	**„რომეო და ჯულიეტა“** 5 ან. 8 ნაჩვ. **„მოძღვარი“** ან. ნაჩვ.
მუსიკალური კომედიის	8-IV 9-IV	**„ზღვის დაბინდება“** ან. ნაჩვ. **„ბედი ბიუზელი“** 1 ან. 9 ნაჩვ.
მოზარდ მაყურებელთა ქართული	8-IV 9-IV	**„სარკმის ციხე“** 67 ან. 7 საათ. **„მირანდოლა“** 47 ან. 6 საათ.

მე-6 შუსტანის გადადა ყველა აბონენტისათვის სავალიბრელოა.

მოქალაქე **ლილა გრიგოლის ასულმა ლომთაძემ,** მცხოვრებმა ბაქოს ქ. № 2, აღძრა სარჩელი **ლაშა ერასტის-ძე მაცაბერიძისადმი** განქორწინების შესახებ. სასმენ განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

გ. ცოცქმაშვილი, გ. იაშვილი, ვ. გიორგობიანი, ლ. კალანდაძე, ე. ტორონაძე, ვ. გოლეთიანი, ი. ხუციშვილი, ბ. გორგიშიანი, ვ. ხმელიძე, ვ. მგალობლიშვილი, გ. კვარაცხელია, ნ. მშველიძე, შ. გამყრელიძე, შ. პაპუაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ს. შონიას მისი დედის **ნატალიას** გარდაცვალების გამო.

ლ. მარიახინი, ი. კერენკოვი, ფ. გაჩეჩილაძე, ა. გოცირიძე, ა. დოლიძე, ჰ. აბაკელია, ო. ჩიჩუა, ი. ვლასოვი, დ. მთისურაძე თანაგრძნობას უცხადებენ ა. შონიას მისი დედის **ნატალიას** გარდაცვალების გამო.

შმობლები შალვა და თამარ, დიდედა როდამ. და ტეტეია, ძმები ოთარ, არჩილ, ჯემალ, ბიძა აკაკი ხვედელიძეები ეუწყებიან **ბიძინა ხვედელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ზოდში (ციათურის რაიონი).

ბებია ბელაგია, ბაბუა სეფე, დედა მარუნია, ბიძაები ნიკოლოზ, ლევან ლებანიძეები ეუწყებიან პატარა **მიშა ჩხაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-IV, 7½ სს. გამოსვენება 10-IV, 2 ს. ჭოროწყაროს, 5.

შვილები ბაგრა, ლიდა, ბეჟიკო და შალვა ხუხაები ეუწყებიან **ბარბალე ერასტის ასულ ნორაკიძე-ხუხაის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-IV ცხაკაიაში, ლიბანონის, 10.

ბებია ბელაგია, ბაბუა სეფე, დედა მარუნია, ბიძაები ნიკოლოზ, ლევან ლებანიძეები ეუწყებიან პატარა **მიშა ჩხაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-IV, 7½ სს. გამოსვენება 10-IV, 2 ს. ჭოროწყაროს, 5.

თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები ეუწყებიან ფ. ნინიძის რძლის **სონია მეიფარიანი-ნინიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-IV, 3 ს ერისთავთან, 14.

ბებია ფეფანა და ბაბუა ოჯახებით, ბიბეკო ოჯახით, ანეტა, ცოცა, თამარ, რუსუდან, კეკური ცხვედიანები ეუწყებიან **ასლიკა ცხვედიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-IV ქუთაისში, ნინოშვილის, 5.

მეეფლე ლეონ, შ